პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 10 აპრილი, 1943 წ. № 82 (6707). ფასი 20 კაპ.

მთელი ჩვენი ქვეყანა მუშაობს სტალინგრადის აღსადგენად

სასწაული უწოდა მსოფლიო პრესამ სტალინგრადის გმირულ დაცვას. ნაძრების ჭვარტლით გამურული სახით, განუწყვეტელ სროლაში, ნანგრევთა შორის იცავდნენ სტალინგრადის სახელოვანი დამცველები მის თითოეულ ქუჩას, თითოეულ სახლს. მტრები დაუნდობლად, ბარბაროსულად ანგრევდნენ ქალაქს — საბჭოთა მარგალიტს ვოლგაზე. საბჭოთა ადამიანებს გულზე ცეცხლი ედებოდათ. საზიზღარი მტრისადმი სიძულვილი, მძაფრი სიძულვილი სწვავდა საბჭოთა მეომრებს, რომლებიც მამაცურად, გმირულად იცავდნენ ვოლგის სახელოვან ქალაქს.

სტალინგრადში უკვე თითქმის არც ერთი მთელი სახლი არ იყო დარჩენილი, მასში ყველაფერი დანგრეული, დამწვარი იყო, შეუპოვარი ბრძოლა კი გრძელდებოდა. მებრძოლებს თავიანთი საპატიო პოსტი არ მიუტოვებიათ, სანამ საბჭოთა ხალხის ახალი არმიები არ მოვიდნენ და სანამ თავიანთი სიცოცხლით არ აგეს პასუხი წყეულმა გერმანელებმა, რომლებმაც დალუპეს სიცოხოო, ნათელი ქალაქი. ბრაზისაგან ცოფმორეული მტერი თავს იმით ინუგეშებდა, რომ პირისაგან მიწისა აღგავა სტალინგრადი და რომ იგი უკვე ველარ აღსდგებოდა...

არამზადები მოსტყუვდნენ! სტალინგრადის დაცვის სასწაულის შემდეგ მსოფლიოს თვალწინ ხდება მისი აღდგენის სასწაული. და განა დაუშვებს საბჭოთა ხალხი, რომ მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი ქალაქი, გმირული ბრძოლის დიდებით ორგზის მოსილი, ნანგრევებში რჩებოდეს.

უდიდესი სამსახური გაუწია ქალაქმა ჩვენს ხალხს. მის დამცველთა შეუპოვრობაზე დაამსხვრნენ მტრის ურდოები სამოქალაქო ომის წლებში. და ახლაც ურჩეულესმა ჰიტლერულმა არმიამ თავისი სამარე ჰპოვა მის კედლებთან. აქ, ცარიცინში, დიდმა სტალინმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა თეთრგვარდიულ კონტრრევოლუციას. აქ, სტალინგრადში, სტალინის გეგმით, მისი ხელმძღვანელობით განადგურებულია მძვინვარე მონათმფლობელთა ფაშისტური ხროვა.

როგორც კი დაცხრა წეთელი არმიის ქვემეხთა უკანასკნელი გრიალი სტალინგრადში, როგორც კი ბევრი, ბევრი დღის შემდეგ პირველად ჩამოვარდა სიწყნარე მრავალტანჯულ ქალაქში, — მუშები უკვე დაიარებოდნენ დანგრეულ საამქროებში და საქმიანად ვარაუდობდნენ, როგორ, საიდან დაეწყოთ თავიანთი პირმშოს აღდგენა. ყოველთვის ძვირფასი იყო მჩქეფარე შრომითი ენერგიით აღსავსე, ახალგაზრდა ქალაქი მის მცხოვრებთათვის, ახლა კი ერთიორად უფრო ძვირფასი გახდა იგი, ისევე როგორც ძვირფასი და საყვარელია მშობლიური, გამოჯანსაღების გზაზე დამდგარი ადამიანი.

გაცხოველებული აღმშენებლობითი მუშაობაა გაჩაღებული სტალინგრადში. ინთება ნათურები პირველ აღდგენილ სახლებში, აგურისა და ნაგვის გროვისაგან გაწმენდილ ქუჩებში. საქმიანად ფუსფუსებენ ტრამვაელები მოძრაობის აღსადგენად. მუშაობას იწყებენ საზოგადოებრივი დაწესებულებანი. სტალინგრადი ცოცხალია! სტალინგრადი ცოცხლობს!

მთელი ჩვენი ქვეყანა ჩქარობს დაეხმაროს მას. სტალინგრადს ხომ მისი დაცვის გმირული დღეების განმავლობაში შეესისხლხორცა ყოველი საბჭოთა ადამიანის გული. ეს ქალაქი ხომ გახდა ჩვენი ღირსების სიმბოლო, სიმშობლესადმი ჩვენი სიყვარულის შთამგონებელი სახე. მთელი ჩვენი ქვეყანა იცავდა სტალინგრადს, მთელი ჩვენი ქვეყანა იქნება მისი მშენებელი. იგი კიდევ უფრო მშვენიერი აღსდგება ნანგრევებიდან. თავისთავად იგი წეთელი არმიის გულადობისა და თავდადებული მამაცობის დიდებულ ძეგლად დგას.

საბჭოთა ხალხის თვისებას შეადგენს გულისხმიერება დაზარალებულთა გაჭირვებისადმი. იგი უხვი ხელით იძლევა დახმარებას. ძლიერია საბჭოთა ქვეყანა თავისი ერთიანობით, თავისი განუყრელი კავშირით ქალაქსა და სოფელს შორის, ყველა რესპუბლიკებსა და ოლქებს შორის, ყველა საბჭოთა მოქალაქეებს, თავიანთი სამშობლოს ერთგულ შვილებს შორის.

სტალინგრადისადმი დახმარება უდიდესი საყოველთაო - სახალხო მოძრაობის ხასიათს იღებს. გორკის ოლქიდან ზედიზედ მიდის სტალინგრადში სამშენებლო მასალით დატვირთული მატარებლები. ქარხნები სასწრაფოდ ამოწმებენ თავიანთ მარაგს, თავიანთ ინვენტარს. საჭიროა თვითონ მოიკლო, სტალინგრადელებს კი დაეხმარო. მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა სტალინგრადს აძლევს 25 სანიტარულ ავტომანქანას, 25 საწევარს, კომბაინის 50 მოტორს. „კრასნოე სორმოვო“ იძლევა 100 ტონა სახუნრავ რკინას, 3.000 რკინის საწოლს... ასე იქცევა თითოეული ქარხანა, თითოეული საწარმო.

ყაზანი იმ ეშელონებთან ერთად, რომლებსაც სამშენებლო მასალა მიაქვთ, სხვადასხვა სამშენებლო კვალიფიკაციის 150 მუშას უგზავნის.

ძმურ დახმარებას უწევს აზერბაიჯანი. სამრეწველო საქონელთან ერთად იგი ჰგზავნის 4.450 სულ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს, 112 ფუთ ბრინჯს, კარაქსა და სხვ.

კუიბიშევიდან, სარატოვიდან, სხვა ოლქებიდან და ქალაქებიდან მიემართება მატარებლები, რომლებიც დატვირთულია ყველაფრით, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე იქნას აღდგენილი სტალინგრადი.

ცალკეული საბჭოთა პატრიოტები ჩქარობენ პირადი სახსრებით, პირადი შრომით მიიღონ მონაწილეობა გმირი ქალაქის აღდგენაში. ტომსკის რკინიგზის წარჩინებულმა მემანქანემ ნიკოლოზ ლუნინმა საკუთარი სახსრებით შეიძინა 1.000 ტონა ქვანახშირი და სურვილი გამოსთქვა პირადად ჩაიტანოს თავისი საჩუქარი.

შორეულ ბოდაიბოში ოქროს მძებნელებმა იკისრეს 10 აპრილისათვის 2 ფუთი ოქრო შეაგროვონ სტალინგრადის ქარხნისათვის მოწყობილობის შესაძენად.

ცალკეული ოლქები სტალინგრადის რაიონების შეფობას კისრულობენ. ყაზანი შეფობას უწევს ძერჟინსკის რაიონს, გორკის ოლქი — ტრაქტორის ქარხნის რაიონს და ორ სასოფლო რაიონს.

ასე მიმდინარეობს და ფართოვდება მოძრაობა, რომელიც წარმოშვა საბჭოთა ხალხის უდიდესმა პატრიოტულმა აღფრთოვანებამ, მისმა ულეველმა სიმძლავრემ, მისმა მზადყოფნამ—ყველაფერი მოახმაროს სამშობლოს კეთილდღეობას.

საუცხოოა ჩვენი ხალხი, როდესაც იგი, ერთიანი კეთილშობილი სურვილით გამსჭვალული, შემოქმედებითი ენერგიის სასწაულებს ახდენს! რა მძლავრ ნაკადად სჩქეფს მისი ინიციატივა!

ღრმა ჭრილობები მიაყენა ჩვენს ქვეყანას სასტიკმა, დაუნდობელმა მტერმა. უდიდესია ამ ჭრილობებით მოყენებული ტკივილი. მაგრამ კიდევ უფრო დიდია, კიდევ უფრო ღრმაა მტრისადმი სიძულვილი. კიდევ უფრო დიდია, კიდევ უფრო ღრმაა სამშობლოსადმი სიყვარული. კიდევ უფრო ძლიერია მისი მისწრაფება — ისე დაარტყას მტერს, რომ იგი ვერასოდეს ვეღარ გაიმართოს წელში...

საბჭოთა ხალხის მთელი ძალ-ღონით დავარტყათ მტერს, მთელი ჩვენი საბჭოთა კოლექტივის ძალ-ღონით აღვადგინოთ და კიდევ უფრო მეტად გავამშვენიეროთ ჩვენი ქალაქები, ჩვენი სოფლები!

„პრავდის“ მოწინავე, 9/IV.

წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელ დროშის გადაცემა

სამტრედია („კომუნისტის“ საკ. კორ.). 7 აპრილს სამტრედიის რკინიგზის კლუბში ჩატარდა ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო მეურნეობის სამტრედიის განყოფილების მუშაკთა საზეიმო კრება. კრებაზე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და 180.000 მანეთი გადაეცა საორთქლმავლო მეურნეობის სამტრედიის განყოფილების კოლექტივს, რომელმაც თავდადებული მუშაობის შედეგად ამ საპატიო ჯილდოს მიღების უფლება მოიპოვა.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს წარმომადგენელი ამხ. მანუკოვსკი, რომელმაც მიულოცა განყოფილების კოლექტივს საპატიო ჯილდოს მიღება და მოუწოდა უკეთესი წარმატებებისაკენ. კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ პირველი განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსი ორდენოსანი ამხ. გ. ბაგიშვილი, სტახანოველი მუშები და მემანქანეები ამხ. ნ. კვანტალიანი, შ. ჯანელიძე, სამტრედიის დეპოს უფროსი მედალოსანი ამხ. ე. ცხვარაძე და საორთქლმავლო მეურნეობის უფროსი ორდენოსანი ამხ. ვ. გოგოლაძე, რომლებმაც გარდამავალი წითელი დროშის მიღებასთან დაკავშირებით ახალ-ახალი ვალდებულებები იკისრეს.

საზეიმო კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხანაგ სტალინს, გზათა სახალხო კომისარს ამხანაგ ლ. კაგანოვიჩს და ამხანაგ ლავრენტი ბერიას.

გ. სიხარულიძე

მეორე აღგილზე

იმ ქარხნის კოლექტივმა, რომლის დირექტორიც ამხ. ბ. სარიშვილია და პარტბიუროს მდივანი—ამხ. ნ. ფირცხალავა, გუშინ სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სახალხო კომისრის ამხ. ეფრემოვისაგან მიიღო დეპეშა, რომ ქარხანამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მარტის მარჯვენებლებით მეორე ადგილი დაიკავა და მიიღო მეორე პრემია.

აღნიშნული ქარხნის კოლექტივმა მარტის გეგმა 138 პროცენტით შეასრულა. კვარტალური გეგმა მას შესრულებული აქვს 122 პროცენტით.

იძლევიან მარგანეცს გეგმის გადამეტებით

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის მარგანტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მადაროს კოლექტივი (დირექტორი ამხ. დ. ერგემლიძე) წარმატებით ასრულებს სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. მადაროს კარგად დაიწყო აპრილი,—მარგანეცის გამოღების პირველი კვირის დავალება 113 პროცენტით შესრულა, პეროქსიდის დამზადების გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით.

მადაროს პირველი და მეორე უბანი მარგანეცის გამოღების გეგმებს 110-118 პროცენტით ასრულებენ. წინ მიდიან ცვლები, რომლებსაც ამხ. ჭეიშვილი, სიკინჭელაშვილი და ფაყვარელიძე ხელმძღვანელობენ.

ჯ. ჭიოკაძე

მოწინავე საწარმოები

სოხუმი (საქდისი). სოხუმის საწარმოებში ფართოვდება წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება. პირველი კვარტალის საწარმოო პროგრამა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სოხუმის საკოსმეტიკო ქარხანამ, თამბაქოს ფაბრიკამ, ქარხანამ, რომლის დირექტორიც ამხ. დეტალაიოვია, ქალაქის სამრეწველო კომბინატმა და სხვებმა.

სოხუმის საკოსმეტიკო ქარხანამ, რომელმაც ადრემდე შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა, მარტში გეგმის გადამეტებით 140.000 მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ფართო მოხმარების საქონლის ჯამოშვების გადიდებაში პირველ კვარტალში დიდ საწარმოო წარმატებას მიაღწიეს ქალაქის სამრეწველო კომბინატის საწარმოებმა. ქალაქის სამრეწველო კომბინატმა, რომელმაც ფარფოდ გამოიყენა ადგილობრივი ნედლეული, პირველ კვარტალში აითვისა და გამოუშვა ახალი სახის სხვადასხვა პროდუქცია.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

9 აპრილის დილის ცნობა

9 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით მოწინააღმდეგემ დამით სცადა იერიში მოეტანა ხაბჭოთა ქვეგანაყოფებზე. ნაღმატყორცნებისა და თოფტყვიამფრქვევის ცეცხლით გერმანელები გაფანტულ იქნენ, 200-მდე მოკლულა ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვეს ჩვენი პოზიციების წინ და უკან დაიხიენ.

* * *

იზიუმის სამხრეთით 5 შენაერთის ნაწილებმა მოწინააღმდეგის იერიშები მოიგერიეს და გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი გაელიტეს. საარტილერიო ცეცხლით მოსპობილია ტრის 2 ტანკი. ღამით მზვერავი წითელარმიელები ამხ. გლაზკოვი და ბროვკინი გერმანელების მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტში შეიპარნენ და ავტომატების სროლა ასტეხეს. ჰიტლერელებმა უწესრიგო სროლა გაიარაღეს. ჩვენმა მზვერავებმა პანიკით ისარგებლეს, მტერს 10 ჯარისკაცი მოუკლეს და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 5 ნაწილის არტილერისტებმა მოწინააღმდეგის ორი საარტილერიო და სამი ნაღმმტყორცნი ბატარეა ჩაჩუმეს. გვარდიის ზემდეგმა ფატეევმა დაზვერვისას 6 გერმანელი შენიშნა. მზვერავი მალულად მიეხიდა ჰიტლერელებთან და ავტომატით მოჰკლა გერმანელი ოფიცერი და ორი ჯარისკაცი, ხოლო ერთი დასჭრა. დაჩარჩენი გერმანელები გაიქცნენ. მზვერავმა დაჭრილი გერმანელი თავის ნაწილში მოიყვანა.

* * *

ყუბანში ჩვენი ჯარები მიწყეულ ზღუდეებზე მაგრდებოდნენ და მოწინააღმდეგის ზვერავდნენ. მოსულმა წვიმამ აქტიური საბრძოლო მოქმედება გააძნელა მთელ რიგ უბნებზე. 5 შენაერთმა მოწინავე რაზმების მოქმედებით 180 ჰიტლერელი მოსპო. მოწინააღმდეგეს წაავართვეს 3 ტანკი, 2 თვითმავალი ქვემეხი და ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 120 გვამი.

* * *

ყუბანში 5 ნაწილის 19 სნაიპერმა ამ უკანასკნელ დღეებში 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაელიტა. სნაიპერმა კონცდალმა 18 ჯარისკაცი და ერთი გერმანელი ოფიცერი მოჰკლა, სნაიპერმა ჰაიდაროვმა 27 გერმანელი გაელიტა, ზემდეგმა გალიციანიმ—28, სერჟანტმა გავრიკოვმა—60, ზემდეგმა მაზნიკინმა 50-მდე ჰიტლერელი მოსპო.

* * *

კიევის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი უეცრად შეიჭრა რაიონულ ცენტრში. გაჩაღებულ გაადფრებულ ბრძოლაში გერმანელთა გარნიზონი მოსპობილ იქნა. პარტიზანებმა სატელეფონო-სატელეგრაფო სადგური დაანგრიეს და ხელთ იგდეს დიდი დაჯა. ბევრი პური, 8 ტონა შაქარი და 10 ტონა მარილი პარტიზანებმა ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგეს.

უკრაინელ პარტიზანთა რაზმმა სუმის ოლქში მარცხი მოუწყო მოწინააღმდეგის სარკინიგზო ეშელონს, რომელიც ფრონტის ხაზისკენ სწრაფად მივიდა მანძილზომთან. მალე გაისმა მისი ახალი. ქვემეხები ამოქმედდნენ და ჰაერში სქელი ცეცხლის ფარდა შეიქმნა.

ბომბდამშენებმა ზღვისკენ გაუხვიეს.

— ეშმაკობენ,—წარმოსთქვა ქვეგანაყოფის მეთაურმა, კაპიტანმა ფროტერმა, ორმელიც თვალს არ აშორებდა მტრის მანქანებს, და მეზობელ ბატარიებს უბრძანა, ცეცხლი გააჩაღეთო.

ამ დროს ზღვის გადაუფრინეს ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა. საბჭოთა კავშირის გმირებმა, გვარდიელებმა ამხ. გრიბმა და ლაზუტინმა შეამჩნიეს მტრის მანქანები და „მეესერშმიტების“ მწყობრში შეიჭრნენ. ორ ვერაგიელს ბრძოლა მოუხდა ხუთ „მესერშმიტთან“. თავიანთი უპირატესობა რომ დაინახეს, გერმანელთა ავიაგამანადგურებლები მოშორდნენ ბომბდამშენებს, რომელთაც თან ახლდნენ, და ბრძოლაში ჩაებნენ. ჩვენს ავიაგამანადგურებლებსაც ეს უნდოდათ. ჩვენი ფრონტისპირა აეროდრომიდან აფრენილ თვითმფრინავთა ჯგუფი გერმანელთა ბომბდამშენებს დაატყდა თავს.

იმ დროს, როდესაც საბჭოთა ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს ბომბდამშენებზე, მფრინავებმა ამხ. გრიბმა და ლაზუტინმა პირველი „მესერშმიტი“ ჩამოაგდეს. ორმოცდაათ წუთის შემდეგ დაზიანებულ იქნა მტრის მეორე თვითმფრინავი.

დიდ წარმატებას მიაღწიეს იმ მფრინავებმაც, რომლებიც ბომბდამშენებთან იბრძოდნენ. „იუნკერსი“ პირველმა ჩამოაგდო გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ზიაბლიცევმა. თითქმის ერთდროულად ზღვაში ჩავარდა მეორე ბომბდამშენი, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირმა, გვარდიის კაპიტანმა მოსკალენკომ ჩამოაგდო. დანარჩენმა „იუნკერსებმა“ თავიანთი ტვირთი მიზნიდან შორს ჩამოაგდეს, სისწრაფე განვითარეს და ცდილობდნენ გაქცეოდნენ ჩვენს შეეარდნებს. მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო. მესამე ალმოდებული ბომბდამშენი ქვასავით დაეშვა ძირს, მას მიჰყვა მეოთხე. ეს საქმე მოიმოქმედეს გვარდიის უფროსმა ლეიტენანტებმა კოტუნმა და ჩერვონიმ.

გავიდა რამდენიმე საათი, და კვლავ გამოცხადებულ იქნა საპაერო განგაში. საზენიტო ბატარიების მზვერავებმა თვის დროზე აღმოაჩინეს მტრის თვითმფრინავთა დიდი რაზმი. რამდენიმე ბომბდამშენმა მოახერხა საზენიტო ცეცხლის ფარდის გადალახვა. მაგრამ დამიზნებით ბომბტყორცნა ობიექტზე, რომელსაც მეზენიტეები იცავდნენ, მათ ვერ მოახერხეს. მაშინ გერმანელთა რამდენიმე ბომბდამშენი თავს დაატყდა სალინის ბატარიას. მეზენიტეებმა ცეცხლი გააძლიერეს. ყუბანის პირდაპირი მოხვედრებით ჩამოგდებულ იქნა მტრის ერთი ბომბდამშენი, მეორემ სქელი კვამლის კვალი დასტოვა და ჭრრიზონტს მიეფარა.

გერმანელების მიერ ჩამოყრილმა ბომბებმა ლრმა ორმოები დასთხარეს საზენიტო ბატარიის პოზიციაზე, მაგრამ შავზღველები გაუძღებოდნენ მტრის საპაერო იერიშების მაჯაცურად მოგერიებას. ბრძოლის მონენტში ერთ-ერთ ზარაზანს ნახევარჯერმატი გაუფუჭდა. გამტანი ბოლშუნინი ჭალზეს ხელით იღებდა. იგი სწრაფად და უნარიანად მოკმედებდა და შეინარჩუნა თითქმის პირვანდელი სისწრაფე ქვემეხის სროლისა. მტრის ავიაბომბმა ნამსხვრევით მოკლულ იქნა ქვემეხის მეთაური ლიახი. დანარჩენი გუნდი აფეთქების ტალღამ ზარაზანს იქით გადააგდო. პირველი მოვიდა გონს, ბატენი მიხეილ ევსტაფეევი. მან იმ დროს მიირბინა ქვემეხთან, როდესაც „იუნკერს-88“ პიკირებით დაეშვა ობიექტზე. წითელფლოტელი ერთი ასრულდა მთელი გუნდის მოვალეობას და ცეცხლი განაახლა. შავი კვამლის ბოლქვებში გახვეული მტრის მანქანა ობიექტს მოშორდა.

ბინდდებოდა. საპაერო განგაშმა კვლავ ფეხზე დააყენა ყველა. ცა გადასერა პროექტორებმა კაშკაშა შუქმა. აი შუქის ჯვარედინში მოხვდა ერთი თვითმფრინავი, მას შემდეგ მეორე, მესამე. თვითმფრინავები ცდილობენ გაუსხლტნენ დამაბრმავებელ მარწუხებს, მაგრამ მეპროექტორეები მათ არ უშვებენ და მიზანს უნათებენ მეზენიტეებს. ყუმბარები ზედ ბომბდამშენებთან სკდება. გერმანელმა მფრინავებმა უთავბოლოდ ჩამოყარეს ბომბების ტვირთი და ცდილობენ უკან გაბრუნებას. შუქით განათებული მძიმე ბომბდამშენი ნშირად იცვლის კურსს. ყუმბარები სულ უფრო ახლოს სკდება მასთან. უეცრად საზენიტეები ჩაჩუმდნენ. ჰაერში აფრინდნენ ჩვენი ღამის ავიაგამანადგურებლები. მალე გაისმა გრძელი ხატყვიამფრქვევი ჯერი და გერმანელთა ბომბდამშენმა იწყო მკვეთრად ძირსდაშვება. პროექტორის შუქმა ზღვამდე მიიყვანა იგი და ჩაჭქრა, როდესაც თვითმფრინავი წყალში ჩაიძირა.

ეს საბჭოთა კავშირის გმირმა, გვარდიის კაპიტანმა ალექსეევმა ჩასძირა ზღვის უფსკრულში მტრის მანქანა.

ამ დღეს მეზენიტეებმა და ავიაგამანადგურებლებმა მეპროექტორეების დახმარებით კომბინირებული დარტყმით საგრძნობი დამარცხება აგვეყვა გერმანელთა ავიაციას.

ვ. ტუროვსკი

საპაერო ბრძოლები შავ ზღვაზე

მოქმედი არმია, 9 აპრილი (საკდისის საეც. კორესპონდენტისაგან). „ჰაერი, — ხმამაღლა წარმოსთქვა საზენიტო ბატარიის მზვერავმა, უფროსმა წითელფლოტელმა გრიგორიევმა და მაშინვე დაუმატა: — ვხედავ თვითმფრინავებს. პელენგი 360, კურსი 275“.

ბატარიის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი სალინი სწრაფად მივიდა მანძილზომთან. მალე გაისმა მისი ახალი. ქვემეხები ამოქმედდნენ და ჰაერში სქელი ცეცხლის ფარდა შეიქმნა.

ბომბდამშენებმა ზღვისკენ გაუხვიეს.

— ეშმაკობენ,—წარმოსთქვა ქვეგანაყოფის მეთაურმა, კაპიტანმა ფროტერმა, ორმელიც თვალს არ აშორებდა მტრის მანქანებს, და მეზობელ ბატარიებს უბრძანა, ცეცხლი გააჩაღეთო.

ამ დროს ზღვის გადაუფრინეს ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა. საბჭოთა კავშირის გმირებმა, გვარდიელებმა ამხ. გრიბმა და ლაზუტინმა შეამჩნიეს მტრის მანქანები და „მესერშმიტების“ მწყობრში შეიჭრნენ. ორ ვერაგიელს ბრძოლა მოუხდა ხუთ „მესერშმიტთან“. თავიანთი უპირატესობა რომ დაინახეს, გერმანელთა ავიაგამანადგურებლები მოშორდნენ ბომბდამშენებს, რომელთაც თან ახლდნენ, და ბრძოლაში ჩაებნენ. ჩვენს ავიაგამანადგურებლებსაც ეს უნდოდათ. ჩვენი ფრონტისპირა აეროდრომიდან აფრენილ თვითმფრინავთა ჯგუფი გერმანელთა ბომბდამშენებს დაატყდა თავს.

იმ დროს, როდესაც საბჭოთა ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს ბომბდამშენებზე, მფრინავებმა ამხ. გრიბმა და ლაზუტინმა პირველი „მესერშმიტი“ ჩამოაგდეს. ორმოცდაათ წუთის შემდეგ დაზიანებულ იქნა მტრის მეორე თვითმფრინავი.

დიდ წარმატებას მიაღწიეს იმ მფრინავებმაც, რომლებიც ბომბდამშენებთან იბრძოდნენ. „იუნკერსი“ პირველმა ჩამოაგდო გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ზიაბლიცევმა. თითქმის ერთდროულად ზღვაში ჩავარდა მეორე ბომბდამშენი, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირმა, გვარდიის კაპიტანმა მოსკალენკომ ჩამოაგდო. დანარჩენმა „იუნკერსებმა“ თავიანთი ტვირთი მიზნიდან შორს ჩამოაგდეს, სისწრაფე განვითარეს და ცდილობდნენ გაქცეოდნენ ჩვენს შეეარდნებს. მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო. მესამე ალმოდებული ბომბდამშენი ქვასავით დაეშვა ძირს, მას მიჰყვა მეოთხე. ეს საქმე მოიმოქმედეს გვარდიის უფროსმა ლეიტენანტებმა კოტუნმა და ჩერვონიმ.

გავიდა რამდენიმე საათი, და კვლავ გამოცხადებულ იქნა საპაერო განგაში. საზენიტო ბატარიების მზვერავებმა თვის დროზე აღმოაჩინეს მტრის თვითმფრინავთა დიდი რაზმი. რამდენიმე ბომბდამშენმა მოახერხა საზენიტო ცეცხლის ფარდის გადალახვა. მაგრამ

საქართველოს და ურალის კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება

მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელოვნის კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვევს ურალის კოლმეურნეობას „ნოვაია ჟიზნის“ წევრები

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელოვნის კოლმეურნეობა ლიტერატურულ-ტექნიკური ... ჩაის ... ...

მთლიანად და გადაჭარბებით შეავასრულოთ თესვის სახელმწიფო გეგმა

საგაზაფხულო სამუშაოების სანიმუშოდ ჩაბარებისათვის

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ აბაშის რაიონის კოლმეურნეები უპასუხებენ კონკრეტული საქმეებით. ჩვენს წინაშე წელს დასმულია საბრძოლო ამოცანა—მივაღწიოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვ სამხედრო მოსავალს. რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ბრწყინვალედ შეასრულონ ეს საბრძოლო დავალება.

წელს რაიონი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა საგაზაფხულო სამუშაოებს. სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი დაწესებულ ვადაზე ადრე დამთავრდა. რაიონის კოლმეურნეობები მთლიანად უზრუნველყოფილი არიან სიმინდის, სოიას და ლობიოს ხარისხიანი თესლით. სათესლე მასალა კარგად არის მოვლილი.

დამთავრებულია კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების და 1943 წლისათვის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის შედგენა. კოლმეურნეობებში დაკომპლექტებულია ბრიგადები და რგოლები. ცოცხალი გამწევი ძალა უზრუნველყოფილია კონცენტრირებული, უხეში საკვებით და კარგად არის მოვლილი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, დადგენილების განსახორციელებლად ხვნა - თესვის სამუშაოების ჩატარებისათვის გამოყოფილი ხარ-კამეჩები გადაყვანილი არიან გაძლიერებულ კვებაზე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში დამატებით ჩაბმულია კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ჯოგიდან და კოლმეურნეობის წევრთა პირად სარგებლობაში არსებული 468 სული ფურკამეჩი და 131 მუშა ცხენი. დაწესებულია კოლმეურნეობებში გამომუშავების ნორმები ერთ უღელ ხარზე. 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და საშუალო მოსავლიანობის გეგმები დაყვანილია კოლმეურნეებამდე.

სერიოზული ყურადღება ექცევა მოსავლიანობის გადიდების ისეთ საშუალებას, როგორიც არის ადგილობრივი სასუქის მინდვრად გატანა. საკოლმეურნეო ფერმობებზე გატანილია 10.000 ტონაზე მეტი ადგილობრივი სასუქი.

რაიონში ფართოდ არის გაჩაღებული ხვნა. 31 მარტისათვის მოხნული იყო 11.205 ჰექტარი, აქედან ცოცხალი გამწევი ძალით 10.075 ჰექტარი.

სერიოზული ყურადღება ექცევა საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარებას ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში. მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების გადაბარვა, კაპიტალური და მიმდინარე რემონტი. ბუჩქების გაფორმება მთლიანად დამთავრებულია. სადრენაჟო ქსელის რემონტის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. რამის პლანტაციებში ყველა სახის საგაზაფხულო სამუშაოები მთლიანად არის შესრულებული.

კიდევ რამდენიმე დღე, და სიმინდის თესვა მასობრივად გაჩაღდება. ჩვენი ვალია მარცვლეული კულტურების თესვა შემჭიდროებულ ვადებში ჩავატაროთ.

აბაშის რაიონის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეობები საგაზაფხულო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებით მიაღწევენ ყველა კულტურის მაღალი მოსავლის მიღებას და ამით მძლავრ დახმარებას გაუწევენ სახელოვან წითელ არმიას საძულველი მტრის — გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურების დაჩქარების საქმეში.

მ. ბოკერია

აბაშის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ჩაის ფაბრიკების დირექტორებისა და ტექნოლოგების თათბირი

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). 8 აპრილს მახარაძეში შესდგა ჩაის ფაბრიკების დირექტორებისა და ტექნოლოგების თათბირი. თათბირზე მოსმენილ იქნა ფაბრიკების დირექტორების ინფორმაციები ჩაის ფოთლის ნედლეულის გადამუშავებისათვის მზადყოფნის საკითხებზე.

თათბირზე გამოირკვა, რომ მახარაძის რაიონში რემონტი ყველაზე ადრე და მაღალხარისხოვნად დაამთავრა შრომის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. მ. მენაბდე). დროულად დაამთავრეს რემონტი და მზად არიან ჩაის ნედლეულის გადასამუშავებლად ნასაკირალისა (დირექტორი ამხ. თ. სურგულაძე) და ნატანების (დირექტორი ამხ. გ. გოგუაძე) ჩაის ფაბრიკები. რემონტის საქმეში ჩამორჩა ლაითურის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი ამხ. კ. გაბუნია). ფაბრიკაში ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის ელექტროძრავების რემონტი. მსგავსი მდგომარეობაა მაღალი ეწრის ჩაის ფაბრიკაში (დირექტორი ამხ. ნ. სტეფანია). გამოირკვა, რომ ნატანების, ლაითურის, მახარაძის ჩაის ფაბრიკებში სისუფთავე არ არის დაცული.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა ტრესტ „საქართველოს ჩაის“ დირექტორი ამხ. მ. ნარსია, რომელმაც განაცხადა, რომ მიღებულია სასწრაფო ზომები ჩაის ფაბრიკების რემონტის უახლოეს დღეებში დასამთავრებლად.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ი. თაკაძე.

ლ. ლოლაძე

გადამეჯებით შეავასრულებთ ჩაის კრეფის გეგმას

მახარაძის რაიონის ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი მზურვალედ გამოეხმაურა ქობულეთელთა და ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა კოლექტივის მიმართვას. საბჭოთა მეურნეობაში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. მუშათა კოლექტივმა იკისრა 20 აპრილისათვის დაამთავროს ჩაის გადაბარვა 112,8 ჰექტარზე, ჩაის გასხვლა, სადრენაჟო ქსელის გაყვანა. წელს ჩაის მწვანე ფოთლისა და ჩაის თესლის მაღალი მოსავლისათვის ჩატარდება ჩაის ოთხჯერ გათოხნა, რიგთა შორის ოთხჯერ გაცელვა.

ვალდებულება ვიკისრეთ მოკრეფილი ფოთლის 80 პროცენტი პირველი ხარისხისა იყოს. ციტრუსოვან კულტურათა პლანტაციებში 129 ჰექტარზე შეტანილი იქნება მინერალური სასუქი და ჩატარდება ირგვლივ წრეების გადაბარვა, სიმეჩხრის აღმოსაფხვრელად დაირგება 2.650 ძირი მანდარინი და ლიმონი. წელს აღებული ვალდებულების მიხედვით სახელმწიფოს ჩავაბარებთ 2.000.000 ცალ ციტრუსს და 120 ტონა ტუნგოს ნაყოფს. ფართოდ განვავითარებთ დამხმარე მეურნეობას. დავთესავთ ბოსტნეულს 7 ჰექტარზე, სიმინდს 15 ჰექტარზე, მოვაწყობთ საფუტკრეს.

ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება ბრიგადებს შორის. ვაისმან ტობიასის ბრიგადამ, რომელიც შეჯიბრებაში ჩაება გ. სამსონიას ბრიგადასთან, ვადაზე ათი დღით ადრე დაამთავრა ჩაისა და ტუნგოს შებარვის სამუშაოები.

ვ. მუვიდოგაძე

ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

აგრონომის რჩევა-დარიგება

როგორ მივიღოთ კარგი ბალახნარი და მრავალწლიანი ბალახების მაღალი მოსავალი

კარგი დარი, რაც ამ ბოლო ხანს დაიჭირა, ხელს უწყობს საგაზაფხულო კულტურების თესვის დროულად და ხარისხიანად ჩატარებას. ეს პერიოდი მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადრეულ ვადებში დათესოთ საკვები ბალახები, რომლებიც აუმჯობესებენ ნიადაგის ხარისხს და მტკიცე საკვებ ბაზას უქმნიან მზარდ სოციალისტურ მეცხოველეობას.

საკვები პარკოსანი ბალახების დათესვას როგორც სუფთა სახით, ისე მარცვლოვან მცენარეებთან შერევით უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთოდ სოფლის მეურნეობისათვის და განსაკუთრებით იმ ნაკვეთებისათვის, სადაც მარცვლეული კულტურები ითესება ზედიზედ რამდენიმე წლის განმავლობაში.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მრავალწლიანი პარკოსანი ბალახებიდან ითესება იონჯა, ესპარცეტი და სამყურა, ერთწლიანებიდან—ცერცველა, ბარდა, ოსპი და სხვ. იონჯა უნდა დათესოს სარწყავ ნაკვეთებზე დაბლობ თბილ რაიონებში, როგორიც არის: ალაზნის ველი, ბორჩალოს, ყარაიის, ზოლნისის, თბილისის, საგარეჯოს, მცხეთის და ანალოგიური რაიონები, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს, რაიონებში, გრუნტის ღრმა წყლიან ნაკვეთებზე; სამყურა — მთიანი და მთისწინა რაიონების ტენიან ნიადაგებზე, სადაც ატმოსფერული ნალექების საკმაო რაოდენობაა, და დასავლეთ საქართველოს, ზოგიერთ რაიონში; ესპარცეტი — მთიანი და მთისწინა რაიონების შედარებით მშრალ და კირნარ ნიადაგებზე, აგრეთვე ქართლის, ჯავახეთის, მესხეთის ველიან ნაწილში, შირაქის ველში და მათ მსგავს რაიონებში.

მრავალწლიანი ბალახები იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც გადასული არიან თესლბრუნვაზე, უნდა დაითესოს თესლბრუნვის სათანადო მინდორში, იმ კოლმეურნეობებში კი, რომლებსაც თესლბრუნვა არა აქვთ, სუფთა, დაუნაგვიანებელ ნაკვეთებზე. თავთავიანი კულტურების საფარქვეშ დათესვისას ბალახები უნდა დაითესოს სუფთა ანეულში და კარგად დამუშავებული სათოხნი კულტურების შემდეგ—სიმინდის, მზესუმზირას და სხვ. შემდეგ.

მრავალწლიანი ბალახების დასათესად განკუთვნილი ნაკვეთები უნდა გაიწმინდოს ნაწვერალის ნარჩენისაგან და მზრალად მოიხნას კორდამღებიანი გუთნით. ნაწვერალზე დათესვისას საჭიროა ჩატარდეს გამომარცვლა, და სარეველების აღმოცენების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 20–25 დღისა გამომარცვლის შემდეგ, ჩატარდეს ძირითადი ხვნა 20–22 სანტიმეტრის სიღრმეზე. თუ სახნავი ფენა ამაზე ნაკლებია, მაშინ უნდა მოიხნას მთელ მის სიღრმეზე.

შემოდგომაზე მოხნული ნაკვეთები საჭიროა დაიფარცხოს ადრე გაზაფხულზე, როგორც კი ნიადაგი გაშრება და შესაძლებელი იქნება მინდვრად გასვლა. დათესვამდე უნდა ჩატარდეს თესვისწინა კულტივაცია თათბიანი კულტივატორით 5–6 სანტიმეტრის სიღრმეზე, შემდეგ კი ნაკვეთები დაიფარცხოს.

თუ ნაკვეთები დატკეპნილი და დანაგვიანებული არ არის, შეიძლება დაიფარცხოს უკულტივაციოდ.

თივისა და თესლის მოსავლის გადიდების მიზნით სასურველია ნაკვეთის განყოვრება ნაკელით ან მინერალური სასუქებით, ამასთან მიზანშეწონილია ნაკელი შეტანილ იქნას წინამორბედ კულტურაში ჰექტარზე 15–20 ტონის რაოდენობით. უმჯობესია სასუქი შეტანილ იქნას ნიადაგში თესლთან ერთად. იონჯისათვის უკვე არსებობს ბაქტერიალური სასუქი—ნიტრაგინი, რომელსაც დათესვის წინ შეურევენ იონჯის თესლში. ერთი ბოთლი ნიტრაგინი უზრუნველყოფს თესლისათვის აზოტშემკრები ბაქტერიების გადადებას 5 ჰექტარზე

დათესვამდე ყველა მრავალწლიანი ერთწლიანი ბალახების თესლი დაყვანილ უნდა იქნას სათეს კონდიციამდე გულდასმით ვაშენდის გზით და უნდა შემოწმდეს თესლის საკონტროლო ლაბორატორიებში. ერთ ჰექტარზე იონჯის კონდიციური თესლს, სთესავენ 14–16 კილოგრამს, სამყურასს—12–14 კილოგრამს, ესპარცეტისას — 1,1–1,2 ცენტნერს. თესვა სწარმოებს გაზაფხულზე და შემოდგომაზე. გაზაფხულზე თესვა ტარდება ადრეულ თავთავიან კულტურებთან ერთად, ხოლო შემოდგომაზე საშემოდგომო კულტურების თესვის დაწყებითს ვადებში. საფარქვეშ ბალახების თესვა ტარდება საფარი კულტურების დათესვის შემდეგ, მწკრივების გარდიგარდმო; გაზაფხულზე ჩათესვა კი, წინა წლის შემოდგომაზე დათესილი საშემოდგომო კულტურების ქვეშ, ტარდება მწკრივადსთესი მანქანებით მას შემდეგ, როცა ნათესები დაიფარცხება. საფარქვეშ თესვის დროს საფარი კულტურის გამოთესვის ნორმა შემცირებულ უნდა იქნას: საგაზაფხულო კულტურებისა—10–15 პროცენტით, საშემოდგომო კულტურებისა—15–20 პროცენტით. დათესვის შემდეგ სარწყავ რაიონებში ტარდება რწყვა.

ახლად აღმოცენებულ ბალახებს ადვილად ჩაგრავენ სარეველები. ამიტომ, ჯეჯილი რომ მომავრდება, აუცილებლად უნდა ჩატარდეს ხელით მარგვლა. მთლიან ნათესებში, თითოეული გათიბვის შემდეგ ტარდება ფარცხვა 1–2 კვლად მწკრივების გარდიგარდმო.

საფარი მცენარის აღების შემდეგ საჭიროა დაუყოვნებლივ გაზიდულ იქნას მინდვრიდან ძნები და ნამჯა, რომ ამით თავიდან ავიცილოთ ბალახების ნათესებში მელოტი ადგილების გაჩენა.

ვეგეტაციური პერიოდის განმავლობაში ბალახები უნდა მოირწყას სულ ცოტა 4–6–ჯერ, ამასთან პირველად მორწყვა საჭიროა მაშინ, როცა მცენარეებს 3–4 სამმაგი ფოთოლი აქვთ. დათესვიდან პირველ გათიბვამდე, პირველ წელს ამინდისა და ნიადაგის ტენიანობისაგან დამოკიდებით, რწყავა ტარდება 2–4–ჯერ თითოეული გათიბვის შემდეგ მეორე და მესამე წელში გადამდგარი მრავალწლიანი მცენარეები ირწყვება 1–2–ჯერ, უკანასკნელი რწყვა გათიბვის წინ უნდა ჩატარდეს არა უგვიანეს კოკრის გამოღების დაწყებისა. სეზონური ყურადღება უნდა მიექცეს მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლას.

ბალახების აღება თივად სწარმოებს კოკრის მასობრივი გამოღების დროს ან აყვავების დაწყებისას თივის ასაღები მანქანებით; ცხენისა და ტრაქტორის სათიბებით და ცხენისა და ხელის ფოცხებით. ბალახები უნდა გათიბოს რაც შეიძლება დაბლა, რომ ნაშვერალი 4–5 სანტიმეტრზე მაღალი არ დარჩეს.

ფოთლების სრული დაცვისათვის საჭიროა, რომ გათიბული ბალახი როგორც კი დაჭკნება, გათიბვიდან დაახლოებით 5–6 საათის შემდეგ, მოიფოცხოს, და მეორე დღეს აბულლდეს, ამასთან მოფოცხვა და აბულლება სჯობს სწარმოებდეს დილით ან საღამოს, როცა არა ცხელა. ბულლები დიდხანს არ უნდა დარჩეს ბალახების ნათესებზე, რადგან ნაბულულარზე შეიძლება გაჩნდეს მელოტი ადგილები. დაზვინვა შეიძლება მაშინ, როცა ღეროები დაგრეხისას ტყდება, კანი ადვილად ეცლება ღეროს და ღია ფერისაა.

აღნიშნულ ღონისძიებათა დაცვით შეგვიძლია მივიღოთ კარგი ბალახნარი, და ბალახების მაღალი მოსავალი, აგრეთვე გავაუმჯობესოთ ნიადაგის სტრუქტურა.

ს. მიქაძე

საქ. სსრ მიწსახკომის აგროტექნიკისა და მექანიზაციის სამმართველოს უფროსი და მთავარი აგრონომი.

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პლენუმი

8 აპრილს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის V პლენუმი. პირველ საკითხზე — რაიონში კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ—მოხსენება გააკეთა საქ. ალკ თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. მეგრელიშვილმა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სამამულო ომის დღეებში კომკავშირის ორგანიზაციებმა ახალებურად წარმართეს თავიანთი მუშაობა. 800-ზე მეტი კომკავშირელი წარმატებით ასრულებს როგორც საწარმოო, ისე სპეციალურ დავალებებს. იმ ქარხანაში, სადაც კომკავშირის კომიტეტის მდივნად ამხ. ალმოევი მუშაობს, 28 კომკავშირელი ირიცხება. ყველა კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდობა საწარმოო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს. მაგალითად, კომკავშირელი ხარატი ამხ. ხიმჩიანი გეგმას 300-დან 500 პროცენტამდე ასრულებს. თავისი ინიციატივით სამი თვის განმავლობაში მან სამ მოწაფეს შეასწავლა ხელობა, სისტემატურ დახმარებას უწევს კავშირგარეშე ახალგაზრდობას საწარმოო და საზოგადოებრივ დავალებათა შესრულების საქმეში.

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის კომკავშირელები გეგმის შესრულებაში ჩამორჩენილნი იყვნენ. კომკავშირის კომიტეტმა (მდივანი ამხ. შვარცერი) იმსჯელა ამ საკითხზე, მიიღო ზომები, რათა აღმოეფხვრა არსებული ნაკლოვანებანი. ახლა ფაბრიკაში ყველა კომკავშირელი საწარმოო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს.

მაგრამ რაიონის ზოგიერთმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ ვერ შეასრულა კომკავშირელები საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის. მაგალითად, იმ ქარხანაში, რომელიც კომკავშირის კომიტეტის მდივნად მუშაობს ამხ. ლიაშენკო, კომკავშირის ორგანიზაცია სუსტად იბრძვის გეგმების შესრულებისათვის. თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს კომკავშირის კომიტეტი სათანადოთ ვერ იბრძვის კრებებზე მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის და სხვ.

მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს მაუდ-კამოლის ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა შვარცერმა, ლენინის სახ. რკინიგზის ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა კასრაშვილმა. ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ალმოევმა, სტალინის რაიონის განათლების განყ. გამგემ რთველიშვილმა, საქ. ალკ თბილისის კომიტეტის მდივანმა შენგელიამ, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მდივანმა ლოლაძემ და სხვ.

შემდგომი მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით მიღებულ იქნა დადგენილება.

პლენუმზე განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხი. რაიკომის ბიუროს შემადგენლობიდან პლენუმმა გამოიყვანა ამხ. მდინარაძე და ამხ. სვანაძე. ბიუროს შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ ამხ. გოგოძე და ამხ ხახოკია, კანდიდატად—ამხ. გურგენაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ ე. ჩერქეზიამ.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის პლენუმი

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: რაიკომის მუშაობის ანგარიში და ორგანიზაციული საკითხი. პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. შ. აბრამიშვილი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. კაპანაძემ, გიორგაძემ, თამაგარმა, თოდრიამ, ჭელიძემ და სხვ.—სულ 10 კაცმა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ი. თავაძე.

პლენუმმა რაიკომის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. შ. აბრამიშვილი. რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად პლენუმმა აირჩია ამხ. შ. ხიდაშელი, რაიკომის ბიუროს შემადგენლობაში აირჩია ამხ. მელქაძე და ბრეგვაძე, ხოლო კანდიდატად ამხ. კაველაშვილი.

პ. ჭიოკაძე

დღეკვირეული

ამერიკული გაზეთი სამხედრო მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 9 აპრილი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ კომენტარს უკეთებს წითელი არმიის ზამთრის კამპანიის შედეგებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ჯარების ზამთრის შეტევა ყველაზე დიდი შეტევაა ახლანდელ ომში წარმოებულ ყველა შეტევათა შორის და ერთ-ერთი უდიდესი კონტრშეტევაა ისტორიაში ცნობილ კონტრშეტევათა შორის. საბჭოთა ჯარებმა თავიანთი ზამთრის შეტევის შედეგად არა მარტო გააქარწყლეს გერმანელთა შარშანდელი ზაფხულის შეტევის მიღწევები, არამედ კიდევ უფრო მეტი შედეგები მოიპოვეს. საჭიროა ამასთან ერთად გვახსოვდეს, თითქვაზია გაზეთში, რომ რუსებმა ამ ზამთრში უდიდესი დაძაბულობა განიცადეს. საბჭოთა კავშირისათვის აღმოჩენილი მატერიალური დახმარება, ოპერაციები ჩრდილოეთ აფრიკაში და სამაერო თავდასხმები გერმანიაზე, უეჭველია, ხელს უწყობდნენ წითელი არმიის წარმატებით შეტევას. მაგრამ მოუხედავად ამისა, სწერს გაზეთი, დასავლეთის სახელმწიფოებმა მცირე წვლილი გაიღეს იმასთან შედარებით, რაც საბჭოთა კავშირმა გააკეთა. „ამერიკელებს ისე, როგორც რუსებსაც, შეგნებული აქვთ მაქსიმალურად შესაძლებელ ძალთა ერთდროული კონცენტრაციის საჭიროება მტრის წინააღმდეგ“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოკავშირეებმა მთელ თავიანთ ძალებს თავი უნდა მოუყარონ იმისათვის, რომ უაღრესად მოკლე ხნის განმავლობაში გაანადგურონ ჰიტლერელები.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ სამხედრო მიმომხილველი მაიორი ელიოტი დასკვნის გერმანელთა მკვეთრარა განცხადებას იმის შესახებ, რომ თითქოს მათ ევროპის მთელი სანაპირო გაამაგრეს ინგლისელ-ამერიკელთა შესაძლო შესვლის წინააღმდეგ. ელიოტი აღნიშნავს, რომ ამნაირი პროპაგანდა ამკეთებენ გერმანელების სისუსტის და მათს ნერვულობას. ჰიტლერელებს უკვე აღარ შეუძლიათ სამხედრო ომის წარმოება.

ცნობილმა რადიოკომენტატორმა ბრაუნმა რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა და ინგლისსა და ა. შ. შტატებს მოუწოდა მოაწყონ ევროპაზე შეტევა ამ წლის გაზაფხულზე. „ეს იქნებოდა, განაცხადა ბრაუნმა, საუკეთესო საშუალება საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ურთიერთობის განსამტკიცებლად როგორც ომის დროს, ისე მისი დამთავრების შემდეგ“.

საომარი მოქმედება ჯუნისში

ლონდონი, 9 აპრილი (საკდესი). ჩრდილოეთ აფრიკის მოკავშირეთა შტაბის კომუნიკეში ნათქვამია, რომ გუშინ ტუნისის ფრონტის ჩრდილოეთ და სამხრეთ სექტორში მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ მტერზე მიწოლას. მე-8 არმიის ოპერაციების ფრონტზე მტერი განაგრძობდა უკანდახევას და მას მისდევდნენ ინგლისელთა ჯარები. ტყვეთა საერთო რიცხვი, რომლებიც წამოყვანილებით სავსე მატარებელი. პატიზანებმა მცველებს იარაღი აჰყარეს და ყველა მობილიზებული გაათავისუფლეს. ოპოჩნისა და ტომაშევსკის რაიონებში პარტიზანებმა სოფლის ღარიბ მოსახლეობას დაურიგეს რამდენიმე ასეული კილოგრამი ფქვილი და ერბოკარაქი, რაც მათ გერმანელებს წაართვეს.

უკანასკნელ ხანს გერმანელთათვის მომუშავე პოლონურ საწარმოებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ავარეთვე საბოტაჟი. მაგალითად, ოსტროვეცკის სამხედრო ქარხნებში დაზიანებულ იქნა მარტენის ორი ღუმელი და მწყობრიდან გამოყვანილ იქნა გერმანიიდან ჩამოტანილი რამდენიმე დაზგა.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა რურზე

ლონდონი, 9 აპრილი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 8 აპრილს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა სასტიკი თავდასხმა მოახდინეს სხვადასხვა ობიექტზე რურში.

ინგლისის თვითმფრინავები განაგრძობდნენ მტრის წყლების დანაღმვას. 21 ბომბდამშენი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ა. შ. შგაჯების მთავრობის წინადადება ვაღუზის სტაბილიზაციის საკითხთა განხილვის შესახებ

ვაშინგტონი, 5 აპრილი (საკდესი). ა. შ. შტატების ფინანსთა მინისტრმა მორგენტაუმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ 37 ქვეყანას, მათს რიცხვში საბჭოთა კავშირს, წინადადება მიეცა ვაშინგტონს ჯამოჰგზავნონ თავიანთი ტექნიკური ექსპერტები ვალუტის სტაბილიზაციის პრობლემების განსახილველად. ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე მიიღო ეს წინადადება. მორგენტაუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მოლაპარაკებას არ ექნება კონფერენციის ხასიათი, რადგან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ვაშინგტონს სხვადასხვა დროს მოვლენ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით. მოლაპარაკებას მხოლოდდამხოლოდ წინასწარი ხასიათი ექნება.

საფრანგეთში ინგლისელი და ამერიკელი მოქალაქეები დაეპატიმრეს

ნიუ-იორკი, 8 აპრილი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, 26 მარტს ჰიტლერელთა ბრძანებით საფრანგეთის პოლიციამ დაეპატიმრა საფრანგეთის ტერიტორიაზე მყოფი 3.600-მდე ინგლისელი და ამერიკელი. არსებული ცნობების თანახმად, ყველა დაპატიმრებული გერმანიაში იგზავნება.

პოლონელმა პატრიოტებმა პატიმრები გაათავისუფლეს

ლონდონი, 6 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ამ დღეებში ვარშავის ერთ-ერთ ქუჩაში პოლონელთა შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა სპარგო მანქანას, რომლითაც გესტაპოს შენობიდან სატიმროში გადაჰყავდათ 24 პოლონტკური პატიმარი. მანქანას ძლიერი მცველი რაზმი ახლდა. პატრიოტებმა მცველი რაზმი გაანადგურეს და ყველა პატიმარი გაათავისუფლეს. შეტაკების დროს მოკლულ იქნა 5 მცველი და ძმიმედ დაიჭრა 3.

კელცის რაიონში პარტიზანულმა რაზმმა ხელთ იგდო რკინიგზის სადგური, რომელზეც იდგა გერმანიაში სამშაოდ გასაგზავნი პოლონელებით სავსე მატარებელი. პარტიზანებმა მცველებს ალიბი აჰყარეს და ყველა მობილიზებული გაათავისუფლეს.

ინგლისელ-ამერიკელ ჯარებმა ტუნისში ბრძოლა გააგრძელეს. ინგლისელ-ამერიკელ ჯარებმა ტუნისში ბრძოლა გააგრძელეს.